საჯარო სამართლის იურდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-10/77

ქ. ბათუმი

31 მაისი, 2019 წელი

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიური კლინიკის „ბსუ დენტი“ მომსახურების გამწევი პერსონალის შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 13 ივლისის №04 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის „ბსუ დენტი“-ს დებულების მე-5 მუხლის, ბსუ-ს სტომატოლოგიური კლინიკის „ბსუ დენტი“ პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 03 ნოემბრის N 02-05/136 ბრძანების, „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში „ბსუ დენტი“ განსახორციელებელი მომსახურების ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ„ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 27 მაისის N 01-10/73 ბრძანების, „ბსუ-ს სტუდენტებისათვის „ბსუ დენტი“-ს მიერ განსახორციელებელი შეღავათიანი სტომატოლოგიური მომსახურების ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 29 მაისის N 01-10/75 ბრძანების, ბსუ დენტი“-ს დირექტორის მოხსენებითი ბარათის (MES 5 19 00659583, 29/05/2019 წ.) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს თანდართული ,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიური კლინიკის „ბსუ დენტი“ მომსახურების გამწევი პერსონალის შრომის ანაზღაურების წესი (**დანართი 1**).
2. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული წესი გავრცელდეს 2019 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე და შესაბამისად, ამავე თარიღიდან ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში „ბსუ დენტი“ განსახორციელებელი მომსახურების ტარიფების (პრეისკურანტის), ხარჯთაღრიცხვის და კლინიკის ექიმის შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 30 იანვრის N01-11/4 ბრძანების დანართი N3.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სტომატოლოგიური კლინიკის პერსონალს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს,

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჯ. ანანიძე

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის
31 მაისის N 01-10/77 ბრძანების
დანართი 1

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიური კლინიკის „ბსუ დენტი“ მომსახურების გამწევი პერსონალის შრომის ანაზღაურების წესი

1. წინამდებარე წესით განისაზღვრება ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიური კლინიკის „ბსუ დენტი“ მომსახურების გამწევი პერსონალის შრომის ანაზღაურების გაცემის წესი (შემდეგში ,,წესი“).
2. წინამდებარე წესით რეგულირდება სტომატოლოგიური კლინიკის „ბსუ დენტი“ მომსახურების გამწევი შემდეგი პერსონალის შრომის ანაზღაურების გაცემა:
   ა) შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული (შტატგარეშე) კლინიკის ექიმი (მათ შორის კლინიკის დირექტორი);
   ბ) შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული (შტატგარეშე) რენტგენ-ლაბორანტი.
3. კლინიკის ექიმის/რენტგენ-ლაბორანტის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება კლინიკის პაციენტისთვის გაწეული მომსახურების ხარჯთაღრიცხვის მიხედვით (ეს უკანასკნელი დადგენილია ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის №01-10/73 (27.05.2019წ) და №01-10/75 (29.05.2019) ბრძანებებით).
4. სტომატოლოგიური კლინიკის „ბსუ დენტი“ მომსახურების გამწევი პერსონალისათვის (შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული (შტატგარეშე) კლინიკის ექიმის ან რენტგენ-ლაბორანტის) ყოველთვიურად **შრომის ანაზღაურების გაცემის მიზნებისათვის გაითვალისწინება შესაბამის თვეში,** ამ პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით გათვალისწინებული პროცენტული ოდენობა.
5. სტომატოლოგიური კლინიკის „ბსუ დენტი“ მომსახურების გამწევი პერსონალისათვის ყოველთვიურად **შრომის ანაზღაურების გაცემის** შესახებ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება გამოიცემა კლინიკის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, რომელშიც უნდა აღინიშნოს პაციენტისათვის გაწეული მომსახურების საფასური და მისი ბსუ-ს ანგარიშზე შემოტანის შესახებ ინფორმაცია (გადახდილი თანხა, განვადების ხანგრძლივობა და სხვა).